

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი

16 ივლისი, 2013 წელი

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/45

აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვების
დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვები, თანახმად დანართისა.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

ე. მესხია

აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვა

1. აკადემიური საბჭოს წევრობა - 70 სთ. წლის განმავლობაში;
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა - 70 სთ. წლის განმავლობაში;
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრობა - 60 სთ. წლის განმავლობაში;
4. მუშაობა დეპარტამენტის სხდომებში - 30 სთ. წლის განმავლობაში;
5. მასტერ-კლასი/საჯარო ლექცია - 30 სთ;
6. შემოქმედებითი პროექტის ხელმძღვანელობა - 150 სთ;
7. შემოქმედებით პროექტში თანახელმძღვანელობა - 70 სთ;
8. შემოქმედებით პროექტში მონაწილეობა - 100 სთ;
9. ექსპედიციის ხელმძღვანელობა - 50 სთ;
10. ექსპედიციაში მონაწილეობა - 30 სთ;
11. ნაშრომის მომზადება - 70 სთ;
12. ფესტივალის მომზადება/ჩატარება - 150 სთ;
13. ფესტივალში მონაწილეობა - 50 სთ;
14. სამეცნიერო კრებულის მომზადება/რედაქტირება - 100 სთ;
15. სამეცნიერო კრებულის/სახელმძღვანელოს/წიგნის რედაქტორობა - 150 საათი;
16. სამეცნიერო კრებულის ტომის რედაქტორობა - 80 საათი;
17. სამეცნიერო კრებულის სარედაქციო კოლეგიის (საბჭოს) წევრობა - 30 საათი;
18. სამეცნიერო კონფერენციის მომზადება/ჩატარება - 150 სთ;
19. სამეცნიერო კონფერენციის, ფესტივალის, კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა - 30 სთ;
20. მუდმივმოქმედი კომისიის წევრობა - 50 სთ;
21. დროებითი კომისიის წევრობა - 30 სთ;
22. სამეცნიერო სტატიის მომზადება/გამოქვეყნება - 70 სთ;
23. საკონფერენციო მოხსენების მომზადება - 50 სთ;
24. სტუდენტთა სამეცნიერო თემის ხელმძღვანელობა - 30 სთ;
25. სალექციო მასალისა და რიდერის მომზადება, ერთი სასწავლო დისციპლინა - 50 სთ;

26. სალექციო მასალის მომზადება „პოვერპოინტში“ – 1 თემა 10 სთ;
27. ფოტოალბომის/სტენდის მომზადება - 50 სთ;
28. სასწავლო კურსის მომზადება - 1 გვ. 5 სთ;
29. მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს მომზადება - 1 გვ. 5 სთ;
30. სახელმძღვანელოს თარგმნა - 1 გვ. 5 სთ;
31. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) – 150 სთ;
32. საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელობა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) – 80 სთ;
33. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა (პროფესიული) – 100 სთ;
34. დამატებითი/არჩევითი 60 კრედიტიანი პროგრამის ხელმძღვანელობა - 80 სთ;
35. დამატებითი/არჩევითი 20 კრედიტიანი ბლოკის ხელმძღვანელობა - 50 სთ;
36. საგამოცდო კომისიებში მონაწილეობა - ინდივიდუალური 1 სტუდენტი 1 სთ, ჯგუფური - 5 სთ;
37. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 50 სთ;
38. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება - 30 სთ;
39. ჯგუფის კურატორობა - 60 სთ;
40. საკონსულტაციო საათი - 30 სთ;
41. საგამოცდო ბილეთების მომზადება. 1 ჯგუფი - 5 სთ;
42. საგამოცდო ტესტების მომზადება. 1 ტესტი -1 სთ;
43. დისციპლინის სასწავლო გეგმის (სილაბუსის) მომზადება - 30 სთ.

სწორია: